ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4022989

ნომერი: AR1608448

თარიღი : 13.06.2018

გაცემის თარიღი : 19.06.2018

გაცნობის თარიღი : 19.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 15 , (ნაკვეთი N16/61);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ქურსუა პ/ნ 62001040016
- ქ. თბილისი ქავთარაძის ქუჩა 21

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N15, (ნაკვეთი N16/61) შპს ,,კომპასი“-ს კუთვნილი ფართების ფასადზე კონდიციონერის გარე აგრეგატების მოწყობას; პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს მშენებლობის ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის შპს ,,კომპასი“-ს ფართის კუთვნილი ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882016447913 საკადასტრო კოდი N 01.11.12.016.061; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N15, შპს ,,კომპასი“-ს კუთვნილი ფართების ფასადებზე კონდიციონერის გარე აგრეგატების მოწყობის შესაძლებლობას.

სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას აგრეგატების კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.